მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის 2016 წლის ანგარიში

- 2016 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 28 177 766 ლარს შეადგენდა.

პრიორიტეტები

გასული წლისთვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენდა შემდეგი მიმართულებები:

- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტში გასულ წელს ხორციელდებოდა წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

პრიორიტეტები

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2016 წელს განხორციელდა 13 611 319 ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა

- სოფელ სადახლოში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა ღირებულება 648 499 ლარი



- სოფ.ლეჟბადინში მდინარე ალგეთზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი სამუშაოები

- სოფელ იმირში (მდინარე შულავერას მარჯვენა სანაპიროზე) და სოფელ მეორე ქესალოში (მდ. მტკვარზე) ნაპირსამაგრი სამუშაოები

- ქალაქ მარნეულში, ქობულეთის ქუჩის მიმდებარედ მდინარე ალგეთზე ნაპირსამაგრის მოწყობა

- სოფელ ზემო სარალში სარწყავი წყლის მილმდენის რეაბილიტაცია
- სოფელ ამბაროვკაში სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობა
- სოფელ წერეთელში სარწყავი ქსელის რეაბილიტაცია
- სოფელ კიროვკასა და პირველ ქესალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
- სოფელ ქვემო სარალში სასმელი წყლის რეზერვუარისა და ჭაბურღილის მოწყობა
- სოფელ თაზაქენდში, აღმამედლოში, ბურმაში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა.

სასმელი წყალი

სასმელი წყლით დაკმაყოფილების მიზნით
2013 – 2016 წლებში მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა.



- სოფელ ბეგლიართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- სოფელ დიოკნისში სკოლასთან მისასვლელი გზის მოასფალტება
- სოფელ საიმერლოში ჯავახიშვილის ქუჩის, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა
- სოფელ აღმამედლოს ცენტრალური გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოპირკეთება

- მანეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავარში, ახლოლალოში, ცოფში, გიულბახში, კასუმლოში, კიროვკაში, ქეშალოში, ხოჯორნში, ბრდაზორში, დაშტაფაში, კირიხლოში, მარადისში, ყუდროში, ქვემო ყულარში და წითელ სოფელში შიდა გზების მოხრეშვა
- სადგური სადახლოს მისასვლელი გზაზე (I ეტაპი), სოფელ წერაქვში მისასვლელ გზაზე (I ეტაპი), სოფელ სიონში სვანების დასახლება ზემო უბანში, ტალიაშვილებისა და კუპატაძეების უბანში მისასვლელ გზებზე რკ. ბეტონის საფარის მოწყობა.
- სოფელ წერეთელში ნადირაძის ქუჩის რეაბილიტაცია

- ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩა N73ა–ში ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე (1500 მ2) სკვერის კეთილმოწყობა

- ბიბლიოთეკის გამართული ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა სახის სამუშაოების გატარება(სკვერის მოწყობა, წიგნების ფონდის გამდიდრება, შიდა დიზაინის მოწობა)



გარე განათება

- ქალაქ მარნეულში გარე განათების მოწყობა
- სოფელ თაქალოში დარჩენილი ერთი ქუჩის, კირაჩ-მუღანლოში, კაჩაგანში, დოლისყანაში და საიმერლოში გარე განათების მოწყობა

- ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩის N25/N86 და მაზნიაშვილის მრავალბინიანი ხუთ სართულიანი შენობების სახურავის რეაბილიტაცია
- სოფელ წერეთელში არსებული რიტუალების სახლის ტერიტორიის მოწყობა
- სოფელ აღმამედლოში კულტურის სახლის სახურავის და ერთი ოთახის რეაბილიტაცია
- სოფელ დამია-გეურარხში საჯარო სკოლის შენობაში სკოლამდელი აღზრდის ბავშვების ოთახების რეაბილიტაცია
- სოფელ შაუმიანში სკვერის მოწყობა
- სოფელ სიონში კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია
- სოფელ სადახლოში ომში დაღუპული გმირების სახელობის სკვერის მოწყობა
- ქალაქ მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე N3 საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

პრიორიტეტები

- განათლება
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- თვითმმართველობას სოციალური მიმართულებით შემუშავებული აქვს 20– ზე მეტი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვეხმარებით, სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებს.



ყიზილაჯლოს ცენტრი

შშმ პირების ინტეგრაციისთვის თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს

- 2015 წლიდან ფუნქციონირებს ყიზილაჯლოს სენსორული პრობლემების მქონე ბავშვთა ადრეული ჩარევის ცენტრი.
- 2016 წლისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყო 65 000 ათასი ლარი.
- „ადრეული ჩარევის ცენტრი“ 2015 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს და ამჟამად 25 ბენეფიციარი სწავლობს.

“სოფლის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში” დასრულებულია 86 პროექტი

- სასმელი წყლის სისტემის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა 9 სოფელში.
- სასმელი წყლის გამრიცხველიანება 12 სოფელში.
- გარე განათების მოწყობის სამუშაოები განოხრციელდა 29 სოფელში.
- სარწყავ არხებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 სოფელში.
- მოიხრეშა გზები 9 სოფელში.
- სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სოფელში.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

- სოფელ სადახლოში, ახლოლალოსა და სოფ.ზემო სარალში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა
- სოფ. კასუმლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- სოფ. დამია-გეურარხში, თაქალოში, თამარისში, ქუთლიარსა და ყიზილაჯლოში შიდა გზების რეაბილიტაცია.
- სოფელ ალგეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა 150 აღსაზრდელზე (მიმდინარე პროექტი) .

განხორციელებული პროექტები

- გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების” ფარგლებში ქალაქ მარნეულში მოიხრეშა ქალაქ მარნეულის 21 ქუჩა და 20 სოფლის გზა.
- 2016 წელს გარე განათება მოეწყო 31სოფელში და ქ. მარნეულის 29 ქუჩაზე.
- გაცემული იქნა - 394 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

სკოლამდელი განათლება – მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. გასულ წელს მოხდა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

- ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა სოფელ კაპანახჩში, სოფელ ხიხანში, დამიაში (მცირე ტიპის); ახალი ბაღი შეემატა სოფელ აღმამედლოს.

ქ. მარნეულში № 3 საბავშვო ბაღი კაპიტალურად რეაბილიტირდა

გათვლილია 400 აღსაზრდელზე
ასევე კეთილმოეწყო ეზო

- სოფელ ალგეთში დაიწო საბავშვო ბაგა - ბაღის მშენებლობა.
- სოფელ სადახლოში დასრულდა საბავშვო ბაგა - ბაღის მშენებლობა.
- ს. თამარისში ბაგა - ბაღის რეაბილიტაცია.
- დამია-გეურარხის საჯარო სკოლაში სკოლამდელი აღზრდის ბავშვებისათვის ოთახების რეაბილიტაცია.

საერთაშორისო ურთიერთობები

2016 წელს მჭიდრო კავშირები დამყარდა პოლონეთის პომერანიის სავოევოდოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტს შორის. რის შედეგადაც, პრაქტიკის გაზიარების მიზნით რამოდენიმე საქმიანი ვიზიტი განხორციელდა.

ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის მოეწყო სასწავლო შეხვედრები პოლონური გამოცდილების გასაზიარებლად თვითმმართველობის, მცირე მეწარმეობისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

მარნეულში სტუმრად იმყოფებოდა კობილნიცის გმინის მერი ლეშეკ კულინსკი მიზნობრივ დელეგაციასთან ერთად გამოცდილების გაზიარების მიზნით შემდეგ საკითხებში:

- მმართველობითი ინსტიტუტების ფუნქციონირება;
- კულტურა;
- განათლება;
- სპორტი
- გარემოს დაცვა;

მყარი ნარჩენების მართვა

- ნაგვის სეპარირება
- თანამშრომლობა თემით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან – გადმოგვეცა მუყაოს ნარჩენებისთვის განკუთვნილი 20 კონტეინერი და პლასტიკისა და მუყაოს ნარჩენების საპრესი აპარატურა.
- დასუფთავების აქციები
- ჩეხურმა ორგანიზაციამ „Agora Central Europe”-ს ხელმძღვანელმა, ქალაქ მარნეულს საჩუქრად გადმოსცა 9 სანაგვე კონტეინერი.
- გადმოგვეცა ორი ნაგავმზიდი

- მარნეული ჩაერთო საქართველოს მაშტაბურ დასუფთავების აქციებში,
- გამგეობაში შეიქმნა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლების ღონისძიებათა მონიტორინგის 13 წევრიანი კომისია, რომელიც მონიტორინგს უწევს დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავებას.

ავტო პარკის განახლება

- სამი ახალი HIGER BUS, KLQ6770G მარკის ავტობუსის შეძენა ადგილობრივი ბიუჯეტით. თითოეული ავტობუსი გათვლილია 55 მგზავრზე. ავტობუსები აღჭურვილია ნახევრადრბილი სავარძლებით, კონდიციონერით და 2 ვიდეო კამერით, რომელიც სრულად აკონტროლებს სალონს.

წარმატებული პროექტები

„სამოქალაქო ბიუჯეტი“ არის პროცესი, რომელიც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებასა და მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს

1. პროექტის ინიციატორი: ფონდი „სხვა სივრცე“, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ა(ა)იპ „ერთიანი კავკასია“;
2. 2015 წელს იყო საპილოტე პროგრამა;

პროექტი ხორციელდება ,, დემოკრატიის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში

პროექტის პარტნიორები:

- პოლონური ფონდი ,,სხვა სივრცე“
- ა(ა)იპ ,,ერთიანი კავკასია“
- საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი.

ONE CAUCASUS

Fundacja Inna Przestrzeń

польская помощь

Fundacja Solidarności Międzynarodowej


ადგილობრივი ბიუჯეტი
5%
1 500 000
95%
5%
95%

2015–2016 წლის სტატისტიკური მონაცემები



სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

რეაბილიტირებულ იქნა სოფელ წერეთელში არსებული სტადიონი

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

საბავშო ატრაქციონების მოწყობა მარნეულის სამხედრო დასახლებაში

„სამოქალაქო ბიუჯეტი“ სხვა მუნიციპალიტეტებში

- „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პრაქტიკის გაზირების მიზნით , მარნეულში მოწვეულნი იყვნენ საქართველოს 9 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები (ხარაგაული,თეთრიწყარო, გორი,ბოლნისი, წალენჯიხა, საჩხერე,ლაგოდეხი);
- მარნეული იქცა სასწავლო ბაზად;
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგელებისთვის ჩატარდა პროექტის შესახებ ტრენინგები;
- ,,სამოქალაქო ბიუჯეტის'' ფარგლებში 2016 წლის 14–19 ნოემბერს საქართველოდან პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დელეგაცია, გამგეობის სამი თნააშრომელი და 3 პროექტის აქტიური კოორდინატორი.

სპორტი

- წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა რანგის ტურნირებზე მოიპოვეს 173 ოქროს, 63 ვერცხლის და 97 ბრინჯაოს მედალი.
- მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტმა საუკეთესო შედეგის მქონე 22 სპორტსმენი წაახალისა ფულადი ჯილდოთი რომლის საპრიზო ფონდი შეადგენს 13314 ლარს.

- წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა საქართველოს ჩემპიონი, ევროპისა და საერთაშორისო ტურნირის „ძმები კლიჩკო“-ს ფინალისტი, აგალაროვის სახელობის აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირისა და კანდელაკის ტურნირის ჩემპიონი და სხვა ტურნირების გამარჯვებული ოთარ ნავერიანი, რომელიც საახალწლო ღონისძიებაზე დაჯილდოვდა დიპლომითა და ფულადი თანხით– 1500 ლარით. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ ჰონორარის სახით ოთარ ნავერიანს ჩაურიცხა 20 000 ლარი.
- ასევე, დაჯილდოვდა ოთარ ნავერიანის მწვრთნელი ზურაბ მუშკუდიანი, რომელსაც გადაეცა 2016 წლის საუკეთესო მწვრთნელის სიგელი.



ფეხბურთი

- საქართველოს 2016 წლის გარდამავალი ეროვნული ჩემპიონატის აღმოსავლეთ ზონის მე-2 ლიგის „ბ“ ჯგუფში მარნეულის კლუბმა „ალგეთი“ 14 თამაშიდან 2-ფრით და 12 მოგებით დაიკავა პირველი ადგილი და გადავიდა პირველ ლიგაში. 2016 წლის აფხაზეთის ღია გარდამავალ ჩემპიონატში ვლადიმერ ბარქაიას თასზე მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის 2005-2006 წლებში დაბადებულმა აღსაზრდელებმა დაიკავეს მე-2 ადგილი

- მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ფეხბურთის სტადიონის სახარჯთაღრიცხვო საპროექტო დოკუმენტაცია და უახლოეს მომავალში იგეგმება მარნეულის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია.

კულტური, რეგლიგიური ახალგაზრდული და სახალხო დღესსწაულები

საერთაშორისო ფესტივალი "ერთიანი კავკასია"(ONE CAUCASUS) - სოფელ წერაქვში 2014 წლიდან იმართება და ახორციელებს მრავალფეროვან პროგრამას სამი მეზობელი კულტურის გადაკვეთაზე (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი).

- ფესტივალის მიზანი – უსაფრთხო და თავისუფალი სივრცის შექმნა კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.
- One Caucasus-ი თავს უყრის მუსიკოსებს, ხელოვანებს და სხვა მოხალისეებს, როგორც კავკასიის რეგიონიდან, ასევე მთლიანად მსოფლიოდან.
- One Caucasus-ი აქტიურად მუშაობს ადგილობრივ საზოგადოებასთან.
- პროგრამის ფარგლებში იქმნება საგანმანათლებლო პროგრამები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სოფლებში მცხოვრებთათვის მათი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ქრისტესშობის დღესასწაული – ტრადიციული ალილო

აზერბაიჯანელების სახალხო დღესასწაული ნოვრუზ ბაირამი

1989 წლის 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

26 მაისს მარნეულის მუნიციპალიტეტში, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა

კულტურის ცენტრთან არსებული შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები

29 სექტემბერს, ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში ღვინის ფესტივალი მარნეულში, როგორც ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის არქეოლოგიურ ეპიცენტრში, ღვინის ფესტივალი გაიმართა

მ.ჯავახიშვილის სახელობის სახალხო თეატრების ფესტივალი
მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის რვა სახალხო თეატრი

„ღამე მუზეუმში“

21 მაისს მუზეუმის დღესთან დაკავშირებით საქართველოს თითქმის ყველა მუზეუში მოეწყო აქცია, რომელსაც შეუერთდა მარნეულის მუნიციპალიტეტი და სოფელ წერაქვში მდებარე მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის სახლ–მუზეუმში სახვადასხვა აქტივობა გამართა

შსს–ს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა სოციალური აქცია „შენი გულისთვის შენი უსაფრთხოებისთვის“ მარნეულში ახალგაზრდების მიერ მოიხატა ქვეითთა გადასასვლელი და სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყო სემინარი საგზაო უსაფრთხოებაზე

23 აპრილი წიგნის კითხვისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე, რომელსაც მარნეულელი ახალგაზრდებიც შეურთდნენ

წარმატება საგანმანათლებლო სფეროში - დიანა ბოლქვაძე „ეტალონი“ მოსწავლე მარნეულში

ახალგაზრდების წარმატება საზღვარგარეთ

ანსამბლი „ენგური“ 2016 წლის თებერვალში, ესპანეთში გამართულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე “Folk Festival in Catalonia”, გრან-პრის მფლობელი გახდა

ახალგაზრდების წარმატება საზღვარგარეთ

- გასულ წელს მარნეულიდან ორმა ახალგაზრდამ პოლონეთში, ,,ბოლესლავოვოს ბიზნეს კვირეულში'' მიიღო მონაწილეობა. ქალაქ მარნეულის №5 და №8 საჯარო სკოლის მოსწავლეები თეკლა აბესაძე და გუნაი ბაქიროვა მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გამოცხადებული კონკურსის წესით შეარჩია.

ტურიზმი

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე მეთოდებით განხორციელდა დაახლოებით 112 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მათ შორის ქრისტიანული, მუსლიმანური, გრიგორიანული რელიგიური ძეგლების ინვენტარიზაცია/კვლევა.
- შესწავლილი იქნა გერმანული დასახლებები , რომლებიც ახკერპისა და თამარისის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარეობს.

- დაიწყო ეთნო ტურიზმის განვითარება რაიონში ჩამოსულ ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ ეზიარონ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და სხვა) ტრადიციებს და კულტურას
- პოლონურ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, მუნიციპალიტეტს პირველი ტურისტული ჯგუფიც ესტუმრა,

იმირის გორაზე მუზეუმის მოწყობა

- მუნიციპალიტეტი იმირს გორაზე, ღია სამუზეუმო სივრცის მოწყობის მიზნით მუშაობს.
- იდეის განსახორციელებლად მოეწყო სამუშაო შეხვედრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასოციაცია ,,ქართული ღვინოს‘‘, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ქვემო ქართლის გუბერნიის, ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, ეროვნული მუზეუმის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრისა და არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელებთან.

მადლობა ყურადღებისთვის

საკონტაქტო ინფორმაცია:

(0357)224354, (0357)223321

municipaliteti@marneuli.gov.ge

marneuili.gov.ge

www.marneuli.gov.ge

მარნეული, რუსთაველის ქუჩა №73;